ფიქრია ხაჭაპურიძე, ქ. ქუთაისის N33 საჯარო სკოლა

# კონტექსტ-მაგალითი

სკოლიდან დაბრუნებულმა სანდრომ ტელევიზორთან მჯდომი მამა დაინახა,რომელიც ტელეფონით პაპას ელეპარაკებოდა. მამამ საუბარი შემდეგი სიტყვებით დაასრულა: “ და მე მაინც გეუბნები,რომ დაზღვევას ალტერნატივა არ აქვს.”მეორე ბოლოდან რა უპასუხა პაპამ სანდროს არ მოუსმენია,მაგრამ მამას სახეზე შეატყო,რომ არ ეთანხმებოდა. სანდრო დაინტერესდა რაზე საუბრობდნენ მამა და პაპა.მამამ საინფორმაციო გამოშვებაზე მიუთითა სანდროს საუბარი დედასთან სამზარეულოში გააგრძელადა მოსმენილმა ძალიან დააღონა.თვალწინ წარმოუდგა თვალუწვდენელი ვენახის ზვრები.ერთიმეორეზე უკეთესად მოვლილი და ნაყოფით დახუნძლული პაპას და მისი თანასოფლელების ნაკვეთები. დიქტორი ტელევიზორიდან აცხადებდა,რომ კახეთის სამ მუნიციპალიტეტში: ყვარელში, თელავსა და ლაგოდეხში, სულ მცირე 30-მდე სოფელში სტიქიის შედეგებს ითვლიან. 17 სექტემბრის საღამოს მოსულმა სეტყვამ ყველაზე მეტად ყვარლის სოფლები: გრემი, ენისელი, ალმატი და საბუე დააზარალა.როგორც ადგილობრივები ამბობენ, მოსავლის თითქმის 100 პროცენტი განადგურებულია. სოფელ გრემში, რომელიც ქინძმარაულის ზონად ითვლება, ათეულობით მევენახეს ყურძენი მოსაკრეფი ჰქონდა.მოსახლეობა ამბობს, რომ თუ არ დაეხმარებიან, სტიქიის შედეგებს საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებიან. ბოლო ორ კვირაში სტიქიამ კახეთი მესამედ დააზარალა.ინფორმაციას თან ფოტოები ახლდა,რამაც პატარა სანდრო ძალიან დააღონა.

სანდრომ სამზარეულოს მიაშურა და როგორც მამას ლაპარაკიდან გაიგო პაპას დაზღვევის გაგონებაც არ უნდოდა,რადგანაც დაზღვევაში გადახდილი თანხა მას და მის მეზობლებს ფუჭად ფულის ხარჯვად მიაჩნდათ.წელს დაგვატეხა ბუნებამ თავისი ისხვა და დააზარალა ზვრები. წინა წლებში ხომ ასე ძლიერად არ დაუზიანებია მოსავალი და კარგა ბლომადაც მოვიწიეთ. შესაძლებელია შემდეგ წელსაც არ დაისეტყვოს ვენახები.რატომ უნდა გადავიხადოთ დაზღვევაში ფულიო - უთქვამს პაპას.მაგისა ჩვენ არაფერი გაგვეგებაო ასეთ პასუხს აძლევდა ყოველთვის მამას.მამა კი დაჟინებით დაზღვევის აუცილებლობაზე ესაუბრებოდა თუმცა ამაოდ პაპა მაინც თავისაზე იდგა.

სანდრო თავის ოთახში დაბრუნდა და გადაწყვიტა გაეგო მეტი დაზღვევის შესახებ, რათა პაპასთვის და მისი მეზობლებისთვის მიეწოდებინა მეტი ინფორმაცია რა მომსახურებას სთავაზობს ეს დაწესებულება მოქალაქეებს.

# კომპლექსური დავალების მატრიცა

| | | | |
|---|---|---|---|
| **თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო**<br>**საკითხი: დაზღვევა, აგროდაზღვევა;**<br>**საფეხური/კლასი: საბაზო/მეცხრე**<br>**საათების რაოდენობა:** 4 საათი<br>**მასწავლებელი:** ფიქრია ხაჭაპურიძე | | | |
| **თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**<br>• ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუციებთან ურთიერთობა/თანამშრომლობა პიროვნულ განვითარებაში ხელს გვიწყობს/გვეხმარება; | | **თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:** | |
| **გრძელვადიანი მიზანი**<br><br>**სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი/ქვესაკითხები**<br>• მოსახლეობის ინფორმირება დაზღვევის და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე;<br>• ურთიერთობა თემის/ქალაქის მოსახლეობასთან;<br>• ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება თემში/ქალაქში;<br>• ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან.<br><br>**ქვეცნებები:**<br>**დაზღვევა,** | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**<br>• როგორ შემიძლია ჩემს თემში არსებული პრობლემის გადაჭრაზე ზრუნვა?<br><br>• როგორ ავამაღლო მოსახლეობაში ინფორმირებულობის დონე ვიდეორგოლის მეშვეობით დაზღვევასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |

<table>
<tr>
<td></td>
<td>აგროდაზღვევა,<br>მზღვეველი,<br>სადაზღვევო პოლისი,<br>ფრანშიზა,<br>სადაზღვევო კომპანია</td>
<td></td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td>სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 2,4)<br><ul><li>დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;</li><li>სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;</li><li>აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით,</li></ul></td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები<br><br>I ეტაპი:კომპლექსური დავალების არსის გაცნობა<br>როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?<br><br>რესურსი/აქტივობა:<br>მასწავლებლის ინსტრუქცია:<br>ვიდეოებს შესაქმნელად შეიძლება გამოიყენოთ სმარტფონი და თავად გადაიღონ კადრები ან ვიდეოააწყონ ინტერნეტში არსებული მასალით.<br>ვიდეოების გადასაღებად შეიძლება გამოიყენონ საიტები https://biteable.com/ ან https://www.kapwing.com/<br><br><table><tr><td>დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები</td><td><ul><li>რა არის ვიდეორგოლი?</li><li>რატომ არის ინფორმაციის გადაცემა</li><li>ვიდეორგოლით ეფექტიანი?</li><li>როგორ გადავიღო ვიდეორგოლი</li></ul></td></tr></table><br>კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ავსებენ ცხრილს</td>
<td>ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა კლიმატური მოვლენების გამო ნადგურდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ადამიანები ძალიან დიდ ზარალს განიცდიან. წარმოიდგინე,რომ ვიდეორესურსში წარმოდგენილი პრობლემის მოგვარების შესახებ გსურს მოსახლეობას მიაწოდო ინფორმაცია დაზღვევასა და მასთან დაკავშირებული მომსახურეობის შესახებ.შექმენი სამწუთიანი ვიდეორგოლი ან PPT-ს პრეზენტაცია,სადაც შენს მსმენელებს გააცნობ რა მნიშვნელობა აქვს დაზღვევას სოფლის მეურნეობისთვის და როგორ დაეხმარება მოსახლეობას ამ ტიპის მომსახურება შემდგომი განვითარებისა და უსაფრთხოებისთვის.</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td>
ადვოკატირებით,<br>ლობირებით)<br>ზრუნავენ საზოგადოებრივი<br>პრობლემების<br>მოგვარებაზე.<br>ამ დროს ისინი<br>თანამშრომლობენ<br>ერთმანეთთან,<br>საზოგადოებრივ<br>ინსტიტუტებთან,<br>არასამთავრობო<br>ორგანიზაციებთან,<br>სახელმწიფო<br>სტრუქტურებთან;
<ul>
<li>სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;</li>
<li>სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.</li>
</ul>
მდგრადი განვითარება (შედეგები 3)
<ul>
<li>რესურსების მოხმარებისას</li>
</ul>
</td>
<td>
<table>
<tr><td>რა ვიცი შესასწავლი საკითხის შესახებ</td><td>რისი სწავლაა დამჭირდება, დავალების შესასრულებლად</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
</table>
II ეტაპი: კომპლექსური დავალებაზე მუშაობა:<br>
ნაბიჯი 1. რომელი საზოგადოებრივი საჭიროების მოგვარებაზეა მიმართული შენი ვიდეორგოლი და რატომ გადაწყვიტე ამ პრობლემის გადაჭრაზე ზრუნვა? (მონაწ.1,2)<br><br>
აქტივობა N 1<br>
ინსტრუქცია მოსწავლეს:<br>
წაიკითხეთ ქეისი,გამოკვეთეთ მასში წარმოდგენილი პრობლემა და უპასუხეთ სადისკუსიო შეკითხვებს.<br><br>
სადისკუსიო კითხვები:<br>
1.რა პრობლემაზეა საუბარი ქეისში?<br>
2.თქვენი აზრით,როგორ შეიძლება მოგვარდეს ეს პრობლემა?<br>
3.თქვენი აზრით,რა როლი აქვს სახელმწიფოს ქეისში წარმოდგენილ პროცესებში?<br>
4.იმსჯელეთ მამას პოზიციის შესახებ;<br>
5.იმსჯელეთ პაპას პოზიციის შესახებ;<br>
6.როგორ გესმით მამას პოზიცია,როდესაც ის ამბობს,რომ ასეთი შემთხვევების დროს დაზღვევას ალტერნატივა არ აქვს.<br>
7.როგორ მიგაჩნიათ,რა პერსპექტივა შეიძლება არსებობდეს მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად?<br>
8.როგორ მიგაჩნიათ,სახელმწიფოს რა როლი აქვს მსგავს სიტუაციაში?
</td>
<td>
ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:
<ul>
<li>რომელი საზოგადოებრივი საჭიროების მოგვარებაზეა მიმართული შენი ვიდეორგოლი და რატომ გადაწყვიტე ამ პრობლემის გადაჭრაზე ზრუნვა? (მონაწ.1,2)</li>
<li>რამდენად არის გათვალისწინებული კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის/თემის ინტერესები და როგორ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარება მათი უსაფრთხო მომავლის პერსპექტივას? (მონაწ.3. მდგრ1)</li>
<li></li>
</ul>
</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;**<br>• **ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა).** | **აქტივობა N 2**<br>**მასწავლებლის ინსტრუქცია:** გაეცანით ტექსტს დაზღვევის რაობის  შესახებ და უპასუხე შეკითხვებს:<br><br>• რა არის დაზღვევა?<br>• ვინ არის მზღვეველი?<br>• ვინ არის დაზღვეული?<br>• რა არის ფრანშიზა?<br>• როგორი შეიძლება იყოს ფრანშიზა?<br>• როგორ უნაზღაურებს სადაზღვევო კომპანია ზიანს დაზღვეულ პირებს?<br>• რა ზარალის ანაზღაურებას კისრულობს ხელშეკრულებით სადაზღვევო კომპანია?<br>• რატომ არის დაზღვევა აუცილებელი?<br>• რატომ იხდიან მოქალაქეები სადაზღვევო პრემიას?<br><br>**აქტივობა N 3**<br><br>**ჯგუფური მუშაობა**<br>**მასწავლებლის ინსტრუქცია:**<br>გაეცანით მოცემულ ტექსტს დაზღვევის ტიპები და დაზღვევის 5 უპირატესობა.  გრაფიკული სქემის საშუალებით გამოსახეთ  შესახებ მიღებული  ინფორმაცია და გააცანი კლასელებს დაზღვევის უპირატესობები. | |




| | |
|---|---|
| დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები | • რამდენი ტიპის დაზღვევა არსებობს?<br>• რა მომსახურეობას შეიცავს თითოეული ტიპის დაზღვევა?<br>• რა მომსახურეობას შეიცავს პირადი ინტერესების,ქონებრივი ინტერესების და პასუხისმგებლობის დაზღვევა?<br>• შენ რომელი ტიპის და კონკრეტულად რომელი მიართულების დაზღვევის შესახებ |

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<table>
<tr>
<td></td>
<td>უნდა ისაუბრო შენს ვიდეორგოლში?<br>• რა არის აგროდაზღვევა?<br>• რა უპირატესობები აქვს დაზღვევას?<br>• როგორ მიაწვდი დაზღვევის უპირატესობების შესახებ ინფორმაციას შენს ვიდეორგოლში მსმენელს?</td>
</tr>
</table>
<br>
აქტივობა N4<br>
მასწავლებლის ინსტრუქცია:გაეცანით ტექსტს აგროდაზღვევის ფარგლებში რა პირობებით და როგორ ხდება დაზღვევა.,როგორ არეგულირებს სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამას და უპასუხე შეკითხვებს:<br>
<br>
1.რომელი სტიქიური მოვლენებისგან დასაცავად ყიდულობენ აგროოდაზღვევის პაკეტს?<br>
2.როგორი მიწის ნაკვეთების დაზღვევაა შესაძლებელი?<br>
3.რა დროა საჭირო დაზღვევის პოლისის მისაღებად?<br>
4.რას ნიშნავს თანადაფინანსება?<br>
5.საქართველოში რომელ სადაზღვევო კომპანიებში ხდება აგროდაზღვევის პოლისის შეძენა?<br>
6.რა მიზანები აქვს სახელმწიფოს მიერ მიღებულ “აგროდაზღვევის პროგრამას?<br>
7.რა უფლება-მოვალეობები აქვთ მზღვეველს და დამზღვევს?<br>
8.როგორ ხდება ზიანის ანაზღაურება?
</td>
<td></td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | 9.რა შემთხვევაში შეიძლება დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა?<br><br>**აქტივობა N5**<br>**მასწავლებლის ინსტრუქცია:**<br>გაეცანით ტექსტს, T დიაგრამის სახით რვეულში ჩამოწერე რა უნდა იცოდეს მოქალაქემ სადაზღვევო პროდუქტის შეძენამდე და მის შემდეგ და ინფორმაცია გააცანი კლასელებს.<br>რა უნდა იცოდეთ სადაზღვევო პროდუქტის შეძენისას<br>რა უნდა იცოდეთ სადაზღვევო პროდუქტის შეძენის შემდეგ.<br><br><table><tr><td>**დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები**</td><td>• როგორ გააცნობ შენს მსმენელს დაზღვევის მნიშვნელობას?<br>• რომელი ტიპის დაზღვევის შესახებ უნდა ისაუბრო შენს ვიდეორგოლში?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა იცოდეს შენი ვიდეორგოლის მსმენელმა დაზღვევის შეძენამდე და დაზღვევის შემდეგ?</td></tr></table> | |

| | | |
|---|---|---|
| | **ნაბიჯი 2. რამდენად არის გათვალისწინებული კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის/თემის ინტერესები და როგორ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარება მათი უსაფრთხო მომავლის პერსპექტივას?**<br><br>**აქტივობაN 1**<br>**ჯიგსოუს მეთოდის გამოყენებით დიდი ზომის ტექსტის დამუშავება.**<br>**ჯგუფური მუშაობა.**<br>**მაწავლებლის ინსტრუქცია:**<br>აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ფერადი ფურცლები, გადანაწილდით ჯგუფებში და გადაინაწილეთ როლები.ჯგუფის ერთი წევრი გააკეთებს ჩანაწერებს ფლიფჩარტზე,დანარჩენები კი ოთახის სხვადასხვა კუთხეში გამოკრულ ინფორმაციას მოძებნითდა გააკეთებთ ჩანიშვნებს. დავალების ბოლოს ჯგუფები გააკეთებთ პრეზენტაციას.<br>1.მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობა;<br>2.მზღვეველთა პასუხისმგებლობები;<br>3.მომხმარებლებისთვის გადასაცემი დოკუმენტების სტანდარტი.<br>4.როგორ უნდა მოიქცეთ თუ პრეტენზია გაქვთ?<br><br><br>**აქტივობა N2**<br>**დებატები**<br>**რეზოლუცია:** დაზღვევა არის უალტერნატივო აუცილებლობა თუ დაზღვევაში გადახდილი თანხა წყალში გადაყრილი ფულია.<br><br><br>**აქტივობა N3**<br>**სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის მოწვევა;** | |

| | | |
|---|---|---|
| | **მასწავლებლის ინსტრუქცია:**<br>მოიფიქრეთ შეკითხვები,რომელსაც დაუსვამთ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელს.(შეკითხვების დასმისას ყურადღება მიაქციეთ რას შეცვლის სოფლიის მცხოვრებლებისთვის აღნიშნული პრობლემის მოგვარება, და რამდენად იქნება ეს მომსახურება დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმი მომხმარებლებისთვის).<br><br>**აქტივობა N 4**<br>**შეამოწმეთ თქვენი ცოდნა.** კროსვორდი.<br><br><table><tr><td>დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები</td><td>როგორ დაეხმარება ჩემს მიერ მიწოდებული ინფორმაცია მსმენელებს?</td></tr></table><br><br>**IIIეტაპი: კომპლექსური დავალების პრეზენტაცია:**<br>**პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეები ინდივიდუალურად შეავსებენ მასწავლებლის მომზადებულ** კითხვარს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

# განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

| **საკვანძო ცნება ქვესაკითხი** | **საკვანძო ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **მოლოდინები**<br>**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** |
|---|---|---|
| **სამოქალაქო მონაწილეობა** (შედეგები: 1,2,3) | 1. დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე | მაგალითზე დაყრდნობით აღწეროს რამდენადაა შესაძლებელი კონკრეტული საინფორმაციო კამპანიის წარმოებით გავლენა მოახდინოს გარკვეული თემის პრობლემების მოგვარებაზე. |
| | 2. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვაგანხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო | □აანალიზოს სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები.იმსჯელოს როგორ შეიძლება სადაზღვევო კომპანიასთან თანამშრომლობით და სახელმწიფო პროგრამის საშუალებით მოგვარდეს კონკრეტული თემის პრობლემები და გამოკვეთოს მის მიერ განხორციელებული ქმედების ეფექტურობა. |

| | | |
|---|---|---|
| | ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან | |
| | 3. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. | იმსჯელოს რამდენად იქნება შესაძლებელი საინფორმაციო კამპანიის საშუალებით წარმატების მიღწევა. |
| **მდგრადი განვითარება**<br><br>(შედეგი: 1) | 1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება | იმსჯელოს აღნიშნული დარგის უკეთესად განვითარების შესაძლებლობებზე, კონკრეტული თემის ინტერესების და კეთილდღეობის აუცილებლობა დაუკავშიროს უსაფრთხო მომავლის პერსპექტივას. |
| | 2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა) | გამოკვეთოს პრობლემის მოგვარების საჭიროება და გზები. იმსჯელოს ამ კონკრეტული თემის პრობლემის მოგვარება როგორ აისახება სხვა თემის მოსახლეობის საჭიროებების მოგვარებაზე. |

# განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

| კლასი IX<br>თემა: სახელმწიფო და ეკონომიკა<br>ძირითადი საკითხი: დაზღვევა,აგროდაზღვევა | | |
|---|---|---|
| შეფასების კრიტერიუმი | მაქსიმალური ქულა | კომენტარი |
| განსაზღვრავს საკითხს და თემას წარმოადგენს გასაგებად | 2 ქ | |
| მსჯელობს არგუმენტირებულად | 2 ქ | |
| შეუძლია პრობლემის განსაზღვრა და პრევენციის ზომების ჩამოყალიბება | 2 ქ | |
| დავალებაზე მუშაობის პროცესში სწორი კომუნიკაცია აქვს ჯგუფის წევრებთან,მონაწილეობს საკლასო აქტივობებში. | 2 ქ | |
| პრეზენტაცია | 2 ქ | |
| | | |